ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის ლუკმი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 ხუთშაბათი 18 ოქტომბერი №125 (10362) ფასი 8 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## ეს სიახლეა

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის წიაღში ახალი მიკრო-ქარხანა შეიქმნა. ეს იდეა დაიბადა ამავე საწარმოში და მისი ავტორი გახლავთ, მახეს დამამზადებელი იგი ჩააქსოვეს ქართულ ფაიფურში. ფაიფურის ქარხნის 40-მდე სახეობას ინიციატორებმა შემატეს ხუთი ახალი სახეობა. დეკორატიული თეფშები რუსთაველის, ილიას, აკაკის და სხვათა გამოსახულებით პირველია მეფელები, რომელთა სახეობებს ისევ და ისევ შეემატება ახალი ნიმუშები.

მიკროფაბრიკის ცალკეულ უბნებზე შრომობენ საქმით დაინტერესებული ოსტატები: ნოდარ ბუაძე, ჯამბულ გოგოხია,

## მალე იხილავთ...

საამქროს უფროსი ტექნოლოგი გიორგი ქაჯაია გახლავთ, თუმცა თვითონ იარლიყს იგი უარყოფს და ამბობს, რომ ეს იდეა და მის ხორცშესხმასაც ეკუთვნის კოლექტივს, შესანიშნავ სპეციალისტებს მიაწერს.

მიკროფაბრიკა ჩასახლდა გამოუყენებელ ორსართულიან ნაგებობაში, აქვე გაიმართა ღუმელები, გამოიყო დარბაზები... მიმდინარე დასრულების ფაბრიკის ამოქმედების დრო.

იბადება კითხვა: რას უშვებენ მეფაიფურეები? სავაჭრო ობიექტებში იხილავენ მიკროფაბრიკის მიერ გამოშვებულ მაღალმხატვრულ ნაკეთობებს. მომგებიანი, მაღალრენტაბელური პროდუქცია ამჟამად გადის პირველ გამოცდას და... ქარხანას ეყოლება თავისი მუდმივი დამკვეთები.

აქ მომუშავე კერამიკოსებმა და მხატვრებმა, უფრო სწორად ახალბედებმა, მოსვლისთანავე მოიტანეს ეროვნული სული და ფაიფურეთა საქმიანობაში და მისი ავტორი სრულიად ახალგაზრდა კერამიკოსი, ყოფილი მესამე სამუალო სკოლელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის (ხელმძღვანელი ალდე კაკაბაძე) ფაკულტეტდამთავრებული რუბენ ზარანდიაა.

ავტორ-მოდელიორს, თოიძის სახელობის თბილისის სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულს ცანტანგ ბულიას „სახილე" ჩაუფიქრებია მისი ნიმუში ნატიფია და მაღალმხატვრული, ისიც ახალბედაა მიკროფაბრიკაში, მასაც წინ აქვს დიდი მომავალი.

ქართული ორნამენტები, ქართული სული შემოგყურებთ ნიმუშებიდან, იქნება ეს დეკორატიული თეფში რელიეფით „მამული", „დავით აღმაშენებელი" დეკორატიული თეფში „ფაუნა" თავისი სადგომით, სახილე „თამუნია", საყვავილე „ეკა", სასანთლეები, რომელთა სახეობებს ... რაფიელ შერიაზოვი, თანგულაშვილი, ცოტაკურიძე, ზურაბ ყურაშვილი, ლოთი ბართაია და სხვები.

ფაბრიკაში ხაოვარი სიმყუდროვეა, ჩამი-ჩუმიც არ ისმის, სამაგიეროდ ენა ჩაუდგამთ ნახელავისათვის. ისინი, ეს დიდებული ნაკეთობანი ლაპარაკობენ მათ სათქმელს, რაზე თუ მეტყველებენ ოსტატის ენით.

შეკვეთები მიღებულია რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, ეს საწარმოს მომგებიანობის გარანტიაა. შესაბამისად მაღალია დასაქმებულთა ხელფასები. აქ მყოფი რწმუნდები, რომ მონდომებას და საქმის სიყვარულს მართლაც დიდი რამ შეუძლია.

არის პერსპექტივებიც. დღეს კი... ზუგდიდელთა გული გაიხარებს ფაბრიკის მიერ გამოშვებულ მაღალმხატვრულ ნაკეთობებს.

ბ. აბუჩაძე

ეკონომიკა: პირველი შედეგები

## ფერმა გადაეცა მოიჯარეს

ახალსოფლის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას ერიცხება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 351 სულის ოდენობით. მათ შორის 51 ძროხა.

მიმდინარე წლის ცხრა თვის მაჩვენებლებით იკვეთება ყველის სიძნელეები, თუ პრობლემური საკითხები, რაც ხორცისა და რძის წარმოების გარკვეულწილად აფერხებს. მეცხოველეობის ფერმის კოლექტივი ძნელად აღწევს თავს შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობას. ეკონომიკური ანალიზისას ცხადი ხდება მეცხოველეობის დანახარჯების ხასიათი და მასშტაბები.

აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა პირველ რიგში იმან, რომ საკვები ძირითადში ნაყიდია, რაც ძვირი ჯდება. ხოლო რაც შეეხება ფერმის საკვებით უზრუნველყოფას, ღიღინეძის უბანში არსებული 144 ჰექტარი სახნავი ფართობი ამ სოფლის მოსახლეობას გადაეცა პირუტყვის საძოვრად. ეს გარემოება ახალსოფლის კოლმეურნეობას არ აძლევს საშუალებას რძისა და ხორცის წარმოების დაყვანილი გეგმები შეასრულოს.

მომავალი წლიდან კოლმეურნეობის გამგეობა უცილოდ მიაღწევს გეგმებში ცვლილებების შეტანას და რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე სულადობის შენარჩუნებას. ეს მთელი ახალსოფლის მშრომელების მოთხოვნაა.

მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო გადამჭრელი ზომები. ფერმის 230 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იჯარით გადასცა მოიჯარეებს ი. ფარცვანიას და მ. ლუბელაძეს. უკვე აქვთ პირველი შედეგებიც. შექცირდა პროდუქციის წარმოების თვითღირებულება და კოლმეურნეობაში ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმების შესრულების გარანტიაც გაჩნდა.

თ. თოლორაია,
ახალსოფლის კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი

## პრეზიდენტი ნობელის პრემიის შესახებ

„ასეთ წუთებში ძნელია სიტყვები გამონახო, აღელვებული ვარ",—განაცხადა სსრ კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა, როცა უპასუხა კრემლში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების კითხვებს მისთვის ნობელის მშვიდობის პრემიის მინიჭების შესახებ. ნორვეგიის ნობელის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამბავი აუწყა ნორვეგიის ელჩმა სსრ კავშირში დაუღინ სტენსეტმა, რომელიც კრემლში ეწვია სსრ კავშირის პრეზიდენტს...

სსრ კავშირის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ამბავს იგი აღიქვამს „უწინარეს ყოვლისა არა პირადი თვალსაზრისით, არამედ გარდაქმნის უდიდესი საქმის მნიშვნელობის თვალსაზრისით". „ვფიქრობ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გადაწყვეტილების მიღებისათვის, —თქვა მან,—როცა ვიწყებდით ჩვენს გარდაქმნას, ვიცოდით, რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ყველა ქვეყნისათვის".

სსრ კავშირის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ აპირებს 10 დეკემბერს ჩავიდეს ოსლოში პრემიის მიღების ცერემონიაზე. (საქინფორმის კორ.).

მოსკოვი.

## ძლევენ სიძნელეებს

სექტემბრის თვეში საწარმოო გაერთიანება „საქქალაღმრეწვის" გოფროყუთების წარმოების საამქრო სამ დღეს გაჩერდა. მიმდინარეობდა კაპიტალური რემონტი. აგრეგატები მთლიანად დაიშალა. ამჟამად საამქროში ყველა მანქანა დანადგარი გამართულია.

ამას დაემატა საქვაბე საამქროს ავარიაც, რომელმაც შეაფერხა საამქროს შრომის რიტმი და რიგი სხვა მიზეზების გამო კოლექტივმა გასული თვის გეგმა ვერ შეასრულა.

წებოს ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია. საქმე იმაშია, რომ სილიკატური წებოს უქონლობის გამო საამქრო იძულებული გახდა გადასულიყო სახამებლის წებოზე, რამაც გარკვეული სიძნელეები წარმოშვა. ამჟამად წებოს სახარშ განყოფილებაში ამ სიახლის ათვისების პროცესია. უნდა ვივარაუდოთ, რომ წებოს ხარისხი სულ მალე ნორმალიზებული იქნება.

მიმდინარე ეტაპზე, როცა დარჩელის საბჭოთა მეურნეობა თვითდაფინანსებაზეა გადასული, ჩვენი მთავარი საზრუნავია ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება.

## ალებულ კურსს არ გადავუხვევთ

მეურნეობრიობის ახალ ფორმაზე გადასვლის ეტაპი დარჩელში მიმდინარე წლის პირველი კვარტალიდან დაიწყო... ანაზღაურების ახალი ფორმების დანერგვამ ხაზგასმულება მოგვცა ჩაის წარმოება აგვეყვანა 1650 ტონამდე, რაც წლიური გეგმის 112 პროცენტია. განსაკუთრებით საყურადღებოა № 7 ბრიგადის მეჩაიეთა წარმატებები, რომლებმაც 200 ტონაზე მეტი კლონ კოლხეთის ჯიშის ჩაის ნედლეული ჩააბარეს ანასეულის ჩაის ფაბრიკას. ამ ბრიგადის წევრ ვენერა ხოშტარიამ 11 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

ცნობილი ფაქტია, რომ ყოველწლიურად იზრდება ჩაის წარმოების დონე როგორც დარჩელის საბჭოთა მეურნეობაში, ისე რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. მაგრამ ვაწყდებით გარკვეულ სირთულეებს, ისეთაც დაძაბულ დროს, როცა საწვავის ისეთი მწვავე დეფიციტია, კარგი იქნება თუ რაიონის ხელმძღვანელები იზრუნებენ იმისათვის, რომ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ერთ, ან უკიდურეს შემთხვევაში ორ ფაბრიკასთან გვქონდეს საქმე. ამის რეგულირება მოხსნის ჩაის ნედლეულის ჩაბარებით გამოწვეულ დაძაბულობას, ამასთან მოგვცემს საწვავის გარკვეულ ეკონომიას, შეამსუბუქებს ტრანსპორტის მუშაობის საქმეს.

როგორც ყოველთვის, დარჩელში მარცვლეულის წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მექანიზატორთა მონდომებული მუშაობის შედეგად მაღალ აგროტექნიკურ დონეზ იქნა დამუშავებული ფართობები. სიმინდი დაითესა 200 ჰექტარზე. აქედან 150 ჰექტარი მთლიანად იჯარით მიბარებული მესიმინდეებზე. ხოლო 50 ჰექტარი დასამუშავებლად გადაეცა ხელშეკრულებით მექანიზატორებს, სადაც მოსავალს კარგი პირი უჩანს. ამ დღეებში მექანიზატორები შეუდგებიან მოსავლის აღებას. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მექანიზატორთა გაბედული მუშაობა, რომლებმაც ხელშეკრულებით აიღეს სიმინდი სამარცვლედ 60 ჰექტარზე, სასილოსედ 80 ჰექტარზე, სოია 80 ჰექტარზე. მექანიზატორებმა უკვე დაამთავრეს სილოსის მწვანე მასის დამზადება. გეგმიური 1800 ტონის მაგიერ ჩადებულია 2500 ტონაზე მეტი სილოსი. არის ყველა გარანტია იმისათვის, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ სიმინდის, სოიოსა და მარცვლეულის წარმოების გეგმები.

მეცხოველეობის ფერმაში შექმნილია საკვებმომპოვებელი ბრიგადა არენდით. ბრიგადას დასამუშავებლად გადაეცა 140 ჰექტარი ფართობი. ამჟამად მეურნეობაში უკვე დამზადებულია 2500 ტონა სილოსი, დამზადდება 150 ტონა თივა და 300 ტონა ჩალა.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ უდანაკარგოდ იქნას აღებული მარცვლეული კულტურების მოსავალი. შევქმნათ აღგილობრივი წარმოების საკვების ისეთი მარაგი, რომელიც უზრუნველყოფს პირუტყვის უვნებელ გამოზამთრებას.

მ. ახალაია,
დარჩელის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტერნატიული კუთხე

# განცხადება

ჩვენ ამ განცხადებით გვსურს მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ერთ საინტერესო პარადოქსს, რომელიც ამ დღეებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შემოგვთავაზა, კერძოდ, მან ამავე წლის 9 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში" გამოაქვეყნა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციების სია, სადაც მე-8 ნომრად მოხსენებულია „საქართველოს კომუნისტური პარტია (?!)!

საარჩევნო ბლოკში „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო" შემავალი ზუგდიდის რეგიონალური პოლიტიკური ორგანიზაციები მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არავითარი „საქართველოს კომუნისტური პარტია" არ არსებობს!!! არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტატუსის მატარებელია და თუნდაც ფორმალურად არ გამოეყოფა მას! და ამ დროს არჩევნებში მონაწილე კომუნისტური პარტიის ფუნქციონერები ხალხის წინაშე ხმამაღლა აცხადებენ, რომ ისინი არიან „საქართველოს კომუნისტური პარტიის" წევრები. კერძოდ, ამას განითლების გარეშე, მთელი სერიოზულობით ამტკიცებენ ბატონი გურამ გუნავა და ბატონი ბორის კალანდია (?!)! ჩვენ ღრმად გვწამს და გვჯერა, რომ იმის მტკიცება, თითქოს „საქართველოს კომუნისტური პარტია" „გამოეყო" სკკპ-ს, არის იმ ტყუილებისა და პოლიტიკური ფარსის გაგრძელება, რასაც მთელი 70 წლის განმავლობაში ჩადიოდა საქართველოში არსებული სკკპ.

ამის განცხადების საფუძველს ჩვენ გვაძლევს, ის, რომ:

1. არავითარი, ე. წ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის" გამოყოფა სკკპ-დან არ მომხდარა!—არ შემდგარა, ფართოდ რეკლამირებული კომპარტიის ყრილობის მე-2 ეტაპი, სადაც უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება და შეედგინათ დოკუმენტი გამოყოფის შესახებ. (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი იფიციალური გამოყოფაც, ხულაც არ ნიშნავს საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნას; არამედ, ე. ა. საქართველოში არსებულმა სკკპ-მ უნდა გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია, ხოლო შემდეგ თუ გამოჩნდა ვინმე, უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი და ჩატარდეს დამფუძნებელი კრება, რომელიც დაამტკიცებს საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნას, რის შემდეგაც მიიღებს იგი კანონიერ სტატუსს).

2. საქართველოს ყველა კომუნისტს დღეს ჯიბეში უდევს სკკპ—ს წევრობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი (პარტიის ბილეთი), სადაც შავად წითელზე წერია —«ЧЛЕН КПСС»(!?!)

3. ბატონ გ. გუნავა მტკიცება იმის შესახებ, რომ არსებობს „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი" და ამიტომ არსებობს საქართველოს კომუნისტური პარტია, არის ხალხის შეცდომაში შეყვანის მორიგი ცდა, ვინაიდან ყველამ კარგად ვიცით ე. წ. „კომპარტიის ცკ" დღეს არ შექმნილა და არსებობდა იგი დიდი ხნით ადრეც,—თუნდაც ე. წ. „უძრაობის წლებშიც", რომ უფრო შორსაც არ წავიდეთ! გარდა ამისა, ოპონენტს ჩვენ ისიც უნდა შევახსენოთ, რომ „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის" პირველი მდივანი იმავე დროს არის სკკპ პოლიტბიუროს წევრი (?!)!

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოში დღეს არსებული ფსევდო ქვეყნის პარტია—სკკპ არის ლოგის მოღალატური ბოლშევიკური მთავრობის პირდაპირი მემკვიდრე, რის მეშვეობით საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია.

და ბოლოს, ყოველ ქართველს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელს, ჩვენ მოვუწოდებთ,—ამხილონ და პასუხი გასცენ იმ კომუნისტს, რომელიც პოლიტიკური ქულების მოგროვების მიზნით, განაცხადებს, რომ თითქოს ის არის საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი.

მამულიშვილნო! გახსოვდეთ, რომ არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საწინდარი! და ერთიანულმა პატიოსანმა მამულიშვილმა, ერისათვის ამ მეტად საპასუხისმგებლო ჟამს უნდა გააკეთოს ერთადერთი სწორი არჩევანი.

„მრგვალი მაგიდა —თავისუფალ საქართველოში" შემავალი ზუგდიდის რეგიონის პოლიტიკური ორგანიზაციები.

# ჟურნალისტები ყაზბეგში

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ინიციატივით უკვე რეგულარულად ეწყობა ჟურნალისტთა რეგიონალური დღეები. ჟურნალისტები ამჯერად ყაზბეგს ეწვივნენ.

ყაზბეგის რაიონული გაზეთის „ძარიალის" რედაქციაში შეხვედრას ესწრებოდნენ მცხეთის რეგიონის რაიონული გაზეთების თანამშრომლები და სტუმრები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიის გამგემ დავით მჭედლიშვილმა ვრცლად მიმოიხილა რეგიონის გაზეთები.

ეკონომიკის საკითხებზე შეკითხვებს უპასუხეს ჟურნალ „ეკონომისტის" მთავარმა რედაქტორმა იგორ კრავცოვმა და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ ჯაფარიძემ.

ჟურნალისტთა კავშირის დღევანდელ საქმიანობაზე, მის სიახლეებზე ისაუბრა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ.

ითქვა, რომ ამგვარი შეხვედრები ერთობ სასარგებლოა რაიონული გაზეთების სწორი ორიენტაციისა და პროფესიული კონტაქტების გაღრმავებისთვის.

# ქუჩები იცვლიან სახელს

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი, მოსახლეობის სურვილები და გადაწყვიტა:

ეწოდოს კუტუზოვის ქუჩას—ივერიელის სახელი, ძერჟინსკის ქუჩას —იესო ნაზარეველის სახელი, კომკავშირის ქუჩას —ლაზის სახელი, მარქსის ქუჩას—რევაზ თაბუკაშვილის სახელი, ლენინის ქუჩას—კოლხეთის სახელი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

აქტუალური ინტერვიუ

# არ არსებობს ფართო შარაგზა

როგორც ცნობილია, ქალაქ ზუგდიდის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში (გარდა მეოთხე და მეათე საშუალო სკოლებისა) გადავიდნენ ხუთდღიან სასწავლო კვირაზე. ამ სიახლის მიმართ საზოგადოების თვალსაზრისი არაერთგვაროვანია, რას ფიქრობს სპეციალისტი? ამ თვალთახედვით გთავაზობთ საუბარს ქალაქ ზუგდიდის განათლების განყოფილების მეთოდისტ დილარ დაგარგულიასთან.

—როგორც განათლების განყოფილების მეთოდისტი, საკმაო გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი-პედაგოგი, როგორ აფასებთ თქვენ ხუთდღიან სასწავლო კვირაზე გადასვლას და რა დადებით შედეგს მოგვცემს ის?

—გულახდილად გეტყვით, ასეთი სიახლე დღევანდელ პირობებში—მხედველობაში მაქვს ამჟამად მოქმედი სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,—შეცდომაა. მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩივის, რომ მათ დრო არ ყოფნით ყველა დავალების შესასრულებლად. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბევრი სასწავლო საგნის პროგრამა გადატვირთულია მეორე-მესამე ხარისხოვანი საკითხებით. ამასთანავე, სისტემატურად იზრდება აუცილებელი შესასწავლი მასალის მოცულობა და ის კანონზომიერებაა. მაგალითად, სპეციალური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მოსწავლეს საპროგრამო მასალის ათვისებისათვის 1,5-2-ჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე 30-40-იანი წლების მოსწავლეს. საბავშვო მეურნეობაში სამუშაო დღე მცირდება, ხოლო მოსწავლის სამუშაო (სამეცადინო) დროის გადიდების ტენდენცია ახასიათებს.

განვიხილოთ საშუალო დონის მოსწავლის დღე-ღამური დროის ბიუჯეტი: სკოლაში სავალდებულო მეცადინეობაზე მონაწილეობა 5-7 საათი, კლასგარეშე ღონისძიებებზე—1 საათი, დამოუკიდებელი სასწავლო მეცადინეობა—3-5 საათი (სექტემბერში გაცდენილი გაკვეთილების ანაზღაურებაზე—1 საათი), სკოლისგარეშე ღონისძიებებზე (მუსიკალი, ქორეოგრაფიულ სტუდიაში, სპორტულ და სხვა შემოქმედებით წრეებში მეცადინეობა) 1,5-2 საათი, საინფორმაციო საქმიანობა (ჟურნალ-გაზეთები, საინტერესო წიგნი, რადიო, ტელევიზია) და სხვა სანახაობებზე დასწრება—1 საათი.

ცხადად ჩანს, რა „დრაკონის" ხახაშია ჩვენი ნორჩი მოქალაქე; მისი ყოველდღიური აქტიური სასწავლო და საინფორმაციო დატვირთვა შეადგენს 14-16 საათს.

თუ ოდნავ მაინც დავუფიქრდებით ამას, ყველა ჩვენთაგანი არ შეიძლება ეჭვმა არ გაკენწლოს: გაუძლებს კი ასეთ დატვირთვას მოზარდის ორგანიზმი? ერთი მხრივ, რა ელის მის ჯანმრთელობას და მეორეც—როგორი იქნება მისი ცოდნის ათვისებისა და შენახვის მარგი ქმედების კოეფიციენტი, ამაღალი თუ დაბალი?!

—თუ ასეა, მაშინ რატომ შემოიღეს ხუთდღიანი სასწავლო კვირა არა მარტო ჩვენთან, არამედ რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც?

—სამწუხაროდ, მე არ მქონია შესაძლებლობა გავცნობოდი სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლების ამ გამოცდილებას. ვლაპარაკობ მხოლოდ ჩვენი ქალაქის სკოლების კონკრეტულ მაგალითზე. სამწუხაროდ, ჩვენი ქალაქის სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს არ გააჩნიათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რათა მოსწავლეებს იქვე, კლასშივე შეასწავლონ გაკვეთილები. ამასთანავე, ჩვენ არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოსწავლეები სკოლებში უზრუნველვყოთ ცხელი, ყუათიანი საკვებით (5-7 საათი მშიერ ბავშვს როგორ ვინდა ასწავლო, ან მისი ჯანმრთელობა როგორი იქნება?!); არის სხვა მიზეზებიც..

—საინტერესოა, საერთოდ, როგორ ხდება სკოლებში ამა თუ იმ სიახლის დანერგვა.

—საერთოდ, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში სიახლეები სკოლებიდან მოდის (ყოველ შემთხვევაში—ასე უნდა იყოს). წარმოშობილ სიახლეებს სკოლის პედაგოგიური საბჭოები სწავლობენ, აანალიზებენ, აყენებენ განათლების განყოფილების წინაშე; განათლების განყოფილება თავის მხრივ სწავლობს და ანზოგადებს და თუ სასარგებლოდ სცნობს, უთანხმებს (ჩვენს შემთხვევაში ეს არის სასწავლო-სამუშაო კვირადღის შემცირება) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, შემდეგ კი ამტკიცებს და რეკომენდაციას აძლევს პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამაზე შეიძლება თქვენ გაიფიქროთ, ეს რა ბიუროკრატიული პროცესიაო. მაგრამ ამ მომენტების დაცვა აუცილებელია. მე მოგიყვანთ ერთ მაგალითს არაპროფესიული გამოცემიდან კი არა, არამედ ჩვენი პროფესიული ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებიდან" (1990 წ. № 3, გვ. 40): ..რამდენად საჭიროა ახალი ი[illegible]დან ის მასალის შესწავლა, სადაც მოცემულია ჩინეთის, ამერიკისა და სხვა შორეული ქვეყნების ისტორია"..

ეს აზრი ეკუთვნის სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში. ასეთი აზრებიც იბადება სკოლებში და მისი დაშვება დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს მომავალ თაობას და საზოგადოებასაც. ამიტომ პედაგოგიურ საქმიანობაში ყოველგვარი სიახლე პრაქტიკული და თეორიული კონცეფციით მაღალპროფესიულ დონეზე უნდა იყოს შემოწმებული და გადაწყვეტილი.

—დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ხომ არ გექნებოდათ უფრო კონკრეტული წინადადებები?

—თუ გვინდა საზოგადოება გარდავქმნათ, მაშინ გარდაქმნა პირველ რიგში სკოლიდან უნდა დავიწყოთ. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენთან სიტუაცია მდგომარეობა (ჯერჯერობით მაინც) ვერაა. აქ მხოლოდ მოკლედ, ამ კონკრეტული ფაქტიდან გამომდინარე მოგახსენებთ. საჭიროა სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების დაზვეწა, დიფერენცირებული სწავლების შემოღება მერვე კლასიდან, ექვსდღიანი სასწავლო კვირა, ყოველდღიურად არაუმეტეს 4-5 გაკვეთილისა. აგრეთვე სასწავლო პროცესში ტექნიკური და სხვა თვალსაჩინოების ფართოდ დანერგვა, მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია, საყოველთაო სავალდებულო სწავლების მხოლოდ პირველი საფეხურის სკოლებში განხორციელება..

მინდა ცნობილი გამოთქმა ჩემი ინტერპრეტაციით გითხრათ: სწავლისა და სწავლებაში არ არსებობს ფართო შარაგზა და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა მის ციცაბო ბილიკებზე ასვლისას.

ესაუბრა ჯამბულ არქანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მიზანი: სასოფლო წარმოების ინტენსიფიკაცია

# უმთავრესია განწყობის ფაქტორია

კოლხეთის ნიადაგური და კლიმატური თავისებურებები თავის წიაღში შეიცავენ მნიშვნელოვან რესურსებს სოფლის მეურნეობის რიგი დარგების შემდგომი განვითარებისათვის.

**ნარგავების გაკულტურებისა და სამეურნეო ბრუნვაში მათი ჩაბმის მიზნით გეგმაზომიერ მუშაობას ეწევა ტრესტ „კოლხეთმშენის" №8 მოძრავ-მექანიზირებული კოლონა. კოლექტივის სადღეისო და სამომავლო ამოცანებზე გვესაუბრება კოლონის უფროსი შ. ბინწაძე:**

—წლის განვლილი თვეები ის ...კრეტული მიჯნაა, საიდანაც ...ძლება აითვალო საგეგმო ...ვულობის რეალიზაციის პარამეტრები. რა მაჩვენებლებით მოხვდით დღემდე?

—წლის დასაწყისიდანვე შევეცადეთ ისე აგვეწყო შრომის ...რგანიზაცია, რომ ჩვენს ხელთ ...ებული ყოველგვარი რეზერვები მიგვემართა ასათვისებელ მიწების სტრუქტურის ხრუ...ფისა და წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებისათვის. აქცენტები გადიტანილ იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მობილურ ფუნქციონირებასა და მექანიზატორთა კადრების შემსრულებლობით დისციპლინაზე. დამუშავებულ იქნა ლამშრობითი სამუშაოების შესრულების მკაცრი გრაფიკი. მიმდინარე წლის 9 თვეში კოლონის მიერ შესრულებულ იქნა 4 მილიონ 270 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. კარგი ტემპით წარიმართა სამელიორაციო სამუშაოები ენგურ-ხობის მასივის დაშრობის ობიექტზე დასაქმებულმა მექანიზატორთა კომპლექსურმა რგოლმა, რომელსაც რეზო თოდუა უძღვება. ეს კოლექტივი იჯარული მეთოდით მუშაობს დირექციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მათ ანგარიშზეა რთულ კლიმატურ პირობებში მოწყობილი ნახევარსფერული კვლები ერგეტის ზონაში. ნაყოფიერ შრომას ეწევა განმუხურის მეურნეობაში მექანიზატორთა საიჯარო ბრიგადა მექანიზატორ პლატონ ჯოლობავას ხელმძღვანელობით. ამ წლის ბოლომდე ვაპირებთ 60 ჰექტარი მელიორირებული ფართობების საექსპლოატაციოდ გადაცემას. წლეულს ხელი გამოიღეს მშენებლებმაც, რომლებმაც საექსპლოატაციოდ გადასცეს აგურის ქარხანა ხობის რაიონში. აქვე ვაწარმოებთ საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობას სტიქიით დაზარალებული აჭარელი და სვანი ოჯახებისათვის. აღნიშნულ ობიექტებზე თავი გამოიჩინეს სამუშაოთა მწარმოებლებმა: რ. კუკავამ, ლ. გვაჯაიამ, მ. ნიკოლავამ, მშენებლებმა: მ. ტუფურიამ, გ. მამფორიამ და სხვებმა.

განხორციელებული სამუშაოების დიდი წვლილი მექანიზატორებზე მოდის. მარჯვენას შევაქებდით ჯ. კილავას, ა. დევაიანს, მ. ბიგვავას, ა. სიაჩუკს, მ. მამფორიას, გ. ესართიას, ლ. ცაავას, ფ. თოდუას, ზ. სახურიას და სხვებს.

კოლონას არ ექნება იოლი დღეები. წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ უნდა ჩავაბაროთ 200 ჰექტარი დაშრობილი ფართობი, რომელიც ეკუთვნის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალს. კახათის კოლმეურნეობის სამსახურში ჩადგება 80 ჰექტარი ახალდაშრობილი და რეკონსტრუირებული მიწები.

**—რა ზომებს მიმართეთ საიმისოდ, რომ აგემოქმედებინათ მათთვის ეკონომიკური ბერკეტები, ის ახალი სამეურნეო მექანიზმები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია დღეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლება?**

—თავიდანვე ვირწმუნეთ იჯარული მეთოდის ეფექტურობა. ფაქტიურად ეს სიახლე დავნერგეთ სისტემის ყველა ძირეულ რგოლებში. ამან ხელი შეგვიწყო საქმის სწორ ორგანიზაციაში. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამაღლა ეკონომიური სტიმულები. ანაზღაურების სისტემის სახაკეთოდ მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ კვალიფიციური მშენებლები და მექანიზატორები საკმაოდ მაღალ ხელფასებს იღებენ.

**—რას გვეტყოდით იმ ღონისძიებებზე, რომლებმაც თქვენი მუშა-მოსამსახურეების შრომისა და ყოფის პირობები რამდენადმე გააუმჯობესეს?**

—ეს პრობლემა ორგანულად უკავშირდება წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. ამ მხრივ რეალური ნაბიჯები გადაიდგა. ფუნქციონირებს სარემონტო საამქრო, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ობიექტებზე მომუშავე მექანიზმების შეუფერხებელ მუშაობას. წარმოების ეზოში მოქმედი კვების ბლოკიდან ხდება მშენებარე ობიექტებზე დასაქმებულ პირთა მომსახურება. სამუშაოდან მობრუნებულ მუშაკებს აქვს საშუალება ისარგებლოს აბანოთი, საპარიკმახეროთი. დანერგილია მასაჟით მომსახურება. საინტერესო მუშაობას ეწევიან სპორტულ-გამაჯანსაღებელი სექციები.

ვაპირებთ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. მთელმა კოლექტივმა გულთან ახლოს მიიტანა მთელი საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა—დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღება. შრომითი კოლექტივის საბჭოს გადაწყვეტილებით შემუშავდა გარკვეული ღონისძიება, რომელშიაც ჩაიდო შემდეგი პირობები: პირველ შვილზე ოჯახი ჯილდოს სახით მიიღებს 200 მანეთს, მეორეზე—500-ს, ხოლო მესამეზე —1000 მანეთს. ყოველ მომდევნო შვილზე ეს ჯილდო მატულობს 500 მანეთით.

ადამიანთა სოციალური გარანტიების შექმნის გზაზე არა გვგონია, რაიმე დაგვაბრკოლოს. ვინაიდან მშრომელი კაცის განწყობის ფაქტორია ყველაფრის თავი და თავი.

# კოოპერატივი ძალას იკრებს

...ოოპერატივი „კომპლექსი" ...ციონირებს 1989 წლის სე...ბრის თვიდან. იგი შექმნილია საზოგადოებრივ და სახე...ფო ორგანიზაციებთან ხელ...რულების გაფორმებით ას...ტისა და ბეტონის სამუშაოების უზრუნველსაყოფად. ...ფალტის ქარხნის საპროექტო ...ლავრე შეადგენს საათში 30 ... პროდუქციას, რაც იძლევა ... გარანტიას, რომ შეუფერხებელი მუშაობის პირობებში ...ელიწადში გამოვუშვათ 250 ... ასფალტი. ეს კი თვეში ... კილომეტრი ასფალტით ...კეთებული გზაა.

...მდინარე წლის 8 თვეში ...ზებული პროდუქციით ... მიერ რაიონსა და ქალაქ... ტერიტორიაზე დაგებულ... 80 ათასი კვადრატული ... ასფალტის საფარი, ანუ ...რციელდა 700 ათასი მა... სამუშაო.

...ანიშნავია, რომ კოოპერა... საერთო წესდებიდან გა...ინარე, სამუშაოებს ვაწარ... იმ ორგანიზაციებთან, ...ებსაც მოგვარებული აქვთ ...ქტის დაფინანსების საკითხი და გვეხმარებიან მასალე... და საწვავ-საცხებით ნაწ...რივ უზრუნველყოფაში. ...ად, ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს ტრესტ „ზუ...ზასთან", სადაც ამ წლის ...მდე უნდა შევასრულოთ ...თასი მანეთის სამუშაოები. ... სექტემბრისათვის ავით... 886 ათასი მანეთი; ეს ...ეს 5 კილომეტრი გზის ...ლობას სოფელ განმუხურისა და 2,5 კილომეტრ გზას სოფელ აბასთუმანში...

ხელშეკრულება გვაქვს აგრეთვე გაფორმებული ნარაზენის კოლმეურნეობასთან 5 კილომეტრი გზის მოხრეშვა-მოასფალტებაზე, რომელიც ფულად გამოსახულებაში შეადგენს 800 ათას მანეთს. უნდა ითქვას ისიც, რომ ნარაზენ-ზუგდიდის გზის მშენებლობა მიმდინარეობს უფრო ინტენსიურად, ვინაიდან განზრახული გვაქვს წლის ბოლომდე 5 კილომეტრის ნაცვლად გავაკეთოთ 8 კილომეტრი გზა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად კოოპერატივს გააჩნია შესაბამისი საწარმოო სიმძლავრეები, კერძოდ: ასფალტობეტონის ქარხანა, ქვის დამქუცმაცებელი დანადგარი, თხევადი პროდუქტების სათავსები, ავტოტრანსპორტი, საგზაო ტექნიკა. ყოველივე ამის შესაძენად კოოპერატივმა აიღო სახელმწიფო სესხი, რომელიც დროულად იქნა დაფარული. სესხის დაფარვის შემდეგ გამოთავისუფლებული სახსრები მომავალში მთლიანად მოხმარდება წარმოების გაფართოებას. მომავალი წლიდან კოოპერატივს ექნება საშუალება აწარმოოს როგორც სამშენებლო სამუშაოები, ასევე მოსახლეობისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის დაამზადოს სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა სარეალიზაციოდ.

კოლექტივი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მუშაკებით. გვყავს წარმოების მოწინავენი: ასფალტის ქარხნის უფროსი ნური იმნაძე, გზის ოსტატი ანდრია კვარაცხელია, ოპერატორი ვახილ ზაქარაია, მექანიზატორები ცორა ქადარია, ბიჭიკო ჯალაღონია, მუშები: ხუტა ანთია, ირაკ ლამანძია და სხვ.

მონაწილეობას ვღებულობთ საქველმოქმედო საქმიანობაში. კერძოდ, კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ყოველთვიურად გამომუშავებული თანხის (ძირითად მუშებზე) 1 პროცენტი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

სიამოვნებით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ დამკვეთი ორგანიზაციები მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ხელშეკრულებებს. კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ვგრძნობთ ჩვენდამი „ზუგდიდგაზის" ტრესტის, ნარაზენის კოლმეურნეობისა და ნარაზენის ჩაის მეურნეობის ხელმძღვანელობისაგან, რაც გამოიხატება შესრულებული სამუშაოების ღირებულების დროულად გადახდასა და სხვადასხვა აუცილებელი მასალებით მომარაგებაში. ყურადღება არ გვაკლია ქალაქის მესვეურთა მხრიდანაც. აღნიშნული შეთანხმებული ურთიერთობის შედეგია სწორედ კოოპერატივის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მასშტაბური მოცულობა და ხარისხი.

**პავლიკო ქარდავა,**
კოოპერატივ „კომპლექსის" თავმჯდომარე.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.

### მიეძღვნა მერაბ კოსტავას ხსოვნას

# მამულის აღორძინებისათვის იღვწოდა

რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა გურამ ევგენიძის წერილი სათაურით: —„ათი წლის გადასახლებიდან". მასში ავტორი გადმოსცემს საქართველოს ეროვნულ გმირთან მერაბ კოსტავასთან შეხვედრების ცალკეულ ეპიზოდებს—ამ უკანასკნელის ციმბირში გადასახლების ჟამს. მკითხველებს ვთავაზობთ მცირე ნაწყვეტს აღნიშნული პუბლიკაციიდან, რომელშიც თვალნათლივ იხატება დიდებული მამულიშვილის პორტრეტი:

მერაბთან ერთი მცირე დიალოგი დამამახსოვრდა:

—მერაბ, საქართველოში კეთილსინდისიერი შრომით არაფერი გამოდის, წესიერებით კაცს სამათხოვროდ შეიძლება გაუხდეს საქმე და თუ რაიმე არ შეიცვლება, ცნობილი ძველი ქართული ლექსივით წავა საქმე:

„წყალში ვხნავდი, წყალში
ვთესდი,
წყალს მიჰქონდა ჩემი ხნული".

მერაბმა სიტყვა გამაწყვეტინა:

ქართველი კაცი და წყალში მთესველი? არა! წყალში მხვნელი და მთესველი კაცი ვერ ააგებდა მცხეთასა და თბილისს, ართაუჯსა და წუნდას. ბოლნისის სიონსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, ბედიასა და უთვალავ ციხე-კოშკებს, ვერ შექმნიდნენ გორგასლიან სვიან დროშას, დიდებულ ქართველთა საცხოვრისს, ვერც ქართულ დამწერლობას შექმნიდნენ. ქრისტეს სჯულს აქამდე ვერ მოიტანდნენ და მამულსაც მომავალს ვერ შეუნარჩუნებდნენ,— შემდგომ თვალები ჩაუმუქდა და მტკიცედ განაგრძო—თუ ვინმე ფიქრობს რომ მე და ზვიადი წყალში ვხნავთ და სიზმარში ცხრათავიან დევებს ვებრძვით, ძლიერ შემცდარან,— დამარცვალით, დინჯად და წყნარად წარმოთქვა —ჩვენ ჩვენი შვილებისა და მთელი საქართველოს კეთილი მომავლის საქმეს ვაკეთებთ. მე დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე მინდა ვიყო, ამ ბედნიერებას ცოცხალი ვერ მოვესწრები ვიცი, მაგრამ ჩემი სული ხომ იქნება მაინც. ჩემი წვალება და ტანჯვა რა მოსატანია ამ დიდებულ საქმესთან. ციხეშიც ვიჯექი. ერთხანს ჩემი სამშობლოდან გაძევებაც უნდოდათ, ახლა გაციმბირებული ვარ. წინ რა მელოდება ეშმაკმაც კი არ იცის,— აქ ოდნავ გაიღიმა,— მე რევოლუციონერებს ნუ შემადარებთ, მე და ზვიადი სხვანი ვართ, ჩვენ ჩვენი ქვეყნის აღორძინება გვინდა, საერთო ქართული საქმისთვის ვიბრძვით. დიდ, ძალას შევეჭიდეთ მე, ზვიადი და ჩვენი თანამზრახველები. ისე, რა მიგავს მე დაბეჩავებულს, გატეხილს, რწმენადაკარგულს. ზოგს უნდა კიდეც ჩემი გატეხილი სულის ხილვა. ვერ მოესწრებიან, ხარივით ვარ! ასე უთხარი ყველას, არც ზვიადი გატეხილა და არც მერაბი გატყდება თქ...

## სასამართლო დარბაზიდან

მანამდე, სანამ მესამედ ა ოპ- ჩნდებოდა განსასჯელის სკამზე, ხობის რაიონის სოფელ პირველ ჭორგაში მცხოვრებ ბორის ამ-

# ქურდს ქუდი ეწვის

ირაპის ძე ლეფონავას ქურდობასა და თაღლითობაში „საკმაოდ“ ჰქონდა ხელი გაწაფული. მაგრამ კოლონიებში გატარებულმა წლებმა და სიდუხჭირემ, ეტყობა, ვერ ასწავლა თავისუფლების ფასი. სიავის ჩადენის სურვილმა იმძლავრა კეთილ საწყისზე...

ამჯერად ბ. ლეფონავამ თვალი ზორონჯიჭ-დიდგა ჭილაჭ ზუგდიდის ლენინის ქუჩა №18-ში მდებარე ვაჭრობის სამმართველოს №48 ელექტრო-სამეურნეო მაღაზიას. ამა წლის 1 ივნისს, საღამოს მაღაზიის დაკეტვამდე შეაღწია მის სათავსოში და დაიმალა. დიდხანს ელოდა შესაფერის მომენტს. როცა გარეთ, ქუჩაში სიმყუდროვემ დაისადგურა, სამალავიდან გამოძვრა და სავაჭრო დარბაზში ფულის ძებნას შეუდგა. მერე როცა ფული ვერ იპოვა, შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას, ამ მიზნით ფასადის გვერდით ჩიჩის გამოლებას მაგრამ ზისდა საუბედუროდ მაღაზიის დამცავი ელექტრონიგნალიზაცია ამუშავდა. ქურდი არ დაიბნა, გადაჭრა სიგნალიზაციის სადენები, თუმცა ამ „ოპერაციამაც“ არ გაუმართლა. მილიციის მუშაკებმა იგი ადგილზე დააკავეს.

ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლომ დ. შეროზიას თავმჯდომარეობით განიხილა აღნიშნული საქმე და ბორის ამირანის ძე ლეფონავას სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლის ვადით, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

# ზუგდიდელი მოჭადრაკეები — ფინალში

რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, ძალზე მნიშვნელოვან შეჯიბრებას წარმოადგენს. აქ ნათლად ვლინდება თუ რა დონეზეა ესა თუ ის სპორტის სახეობა, დაკავებული ადგილის მიხედვით ეძლევა ქალაქს ჩასათვლელი ქულები.

ასეთი შეჯიბრება ჭადრაკში ჩატარდა ქალაქ სამტრედიაში. დასავლეთის ზონაში მონაწილეობდა 12 გუნდი. ფინალში გადიოდა 3 გამარჯვებული. ზუგდიდელთა ღირსებას იცავდნენ: გოჩა თორია, გიზო ჭურღულია, გიორგი მზარელუა, მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე თამარ გვაჯალია და თამუნა შონია.

შეჯიბრება ძალზე დაძაბულად წარიმართა. ზუგდიდელმა მოჭადრაკეებმა შეძლეს დასახული მიზნის მიღწევა და მოიპოვეს ფინალ... გზური. მათ გაუსწრეს მხოლ... სპინძლებმა და ფოთის გუ... ფინალს მიღმა დარჩა დიდ... დიციების მქონე აფხაზეთის, ... ულისა და ვანის გუნდები.

სასიხარულოა ზუგდიდელ მ... რაკეთა ესოდენ მნიშვნელ... წარმატება. ნონას მშობლიურ... ლაქი იბრუნებს საქართველოს ... ჭადრაკო კოპორტაში ადგილ... ამაში დიდია ქალაქის ჭად... ფედერაციისა (თავმჯდომარე ... ურია) და სპორტკომიტეტის (... ჯდომარე თ. ჯგუშია) წვლილი.

ფინალური შეჯიბრება 24 ოქ... ბერს იწყება თბილისში. წარ... ბ-ბი ვუსურვოთ ჩვენს მოჭად... ებს.

რ. ფაჟავ...

## ვის დაეკარგა?

ვმუშაობ ტაქსის მძღოლად. ამა წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში უცნობ მოქალაქეს მგზავრობისას ტაქსის სალონში დარჩა იმპორტული წარმოების, ორი სახის, ერთიდაიგივე ფეხის უხმარი ფეხსაცმელი.

პატრონს ვაუწყებ, ჩემს მისამართს: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა №277.

ვალიკო ქუჩულორი...

# განცხადებები, რეკლამები...

ზუგდიდს კეთილშობილური მისიით ეწვია სახელმოხვეჭილი ექსტრასენსი ნუგზარ ტუხაშვილი.

ბატონმა ნუგზარმა მისი ბუნებრივი ტალანტის სრულყოფას მიაღწია ქალაქ მოსკოვში, სახალხო მედიცინის ფონდთან არსებულ ექსტრასენსორიკის უმაღლეს სკოლის კედლებში. მას მინიჭებული აქვს საკავშირო მნიშვნელობის ხალხური მკურნალის საპატიო წოდება. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ მისი მკურნალობით კმაყოფილი ადამიანების მიერ გამოგზავნილი მადლიერების წერილებით სავსეა სამედიცინო ფირმა „იბერიის“ არქივი.

ბატონ ნუგზარს ბევრი კოოპერატივი ეპატიჟებოდა, მაგრამ მან აირჩია სწორედ საქველმოქმედო სამედიცინო ფირმა „იბერიაში“ მუშაობა და მის მიერ შეტანილი თანხის უდიდესი ნაწილი ხმარდება ქველმოქმედებას, ხალხის სიკეთეს.

აი, რა დაავადებებს უხდება ნუგზარ ტუხაშვილის მკურნალობა: პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები, ოსტეოქონდროზები, რადიკულიტები, ნევროზი და ნეირო-ცირკულარული დისტონიები, უძილობით, შიშებით და იმპოტენციით, ჰიპერტონული დაავადება I—II სტადია, სტენოკარდია, კუჭნაწლავის და შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები, ჰაიმორიტები, ფრონტიტები, სტომატიტი და სხვა.

ნ. ტუხაშვილი ავადმყოფებს ღებულობს სამედიცინო ფირმა „იბერიის“ ახალგახსნილ ზუგდიდის ფილიალში (ქ. ზუგდიდი, წერეთლის ქ. №8) ამ ფილიალს ხელმძღვანელობს გამოცდილი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი—კარდიოლოგი ეთერ ჯანაშია.

ქალბატონი ეთერი 30 წელი მუშაობდა ყოფილ მე-7 სამმართველოს საავადმყოფოში. იგი არა მარტო შეარჩევს ავადმყოფებს ექსტრასენს ტუხაშვილისათვის, არამედ გაუწევს საექიმო კონსულტაციებს კარდიოლოგიურ ავადმყოფებს და იქვე გადაუღებს მათ მაღალკვალიფიციურად ელექტროკარდიოგრამას.

აღსანიშნავია, რომ საკონსულტაციოდ ზუგდიდის ფილიალს ეწვევიან ცნობილი კლინიცისტები, პროფესორები: გურამ რცხილაძე, ნუკრი ხურცილავა და დოცენტი მიხეილ გამცემლიძე.

წინასწარი ჩაწერა ამ სპეციალისტებთან მოხდება ქალბატონ ეთერ ჯანაშიასთან. აქვე ზუგდიდელებს შეეძლებათ შეიძინონ ცნობილი ფიტოთერაპევტის, როინ ნაჭყებიას სახელმოხვეჭილი სამკურნალო სითხე „სალხინო“, რომელიც ძველი ხალხური მედიცინის ტრადიციებზეა დამზადებული.

---

ზუგდიდის საცხენოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცნობებს კოოპერატორებს, სხვადასხვა სახის კოოპერატივის გახსნის მსურველ პირებსა და კერძო მოსაქმეებს, რომ იპოდრომს გააჩნია როგორც მრავალდარგოვანი კოოპერატივის, ასევე სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონლის დამამზადებელი საამქროების, სამკერვალოს, კაფე-ბარის, სასადილოს, კომერციული სავაჭრო მაღაზიის და ა. შ. გახსნისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი, სათავსოები, შენობა-ნაგებობები და სხვა.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს დაწვრილებითი პირობების გაგება შეუძლიათ ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

მისამართი: სოფელ რუხი, იპოდრომის დირექცია.

---

ზუგდიდის საქალაქო კულტურის სახლის დირექცია აცხადებს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მიღებას, გახანგრძლივებულ და ცალკე მათემატიკის შემსწავლელ წრეში.

მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის 20. ტელეფონი: 2—11—06.

---

1990 წლის 19 ოქტომბერს ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდება ეროვნული ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი, სადაც ზუგდიდის „ოდიში“ უმასპინძლებს ოჩამჩირის „ამირანს“. დასაწყისი 14 საათსა და 30 წუთზე.

თამაშის დამთავრებისთანავე ჩატარდება ერთგულების ლატარია, გათამაშდება ტელევიზორები, მაგნიტოფონები, ავტომანქანა „ვაზ 21063“ ერთი ცალი და სხვა ნივთები.

ერთ შესასვლელ ბილეთზე გაიყიდება 4 ცალი ლატარიის ბილეთი. ბილეთების გაყიდვა იწარმოებს 18 ოქტომბერს დილის 10 საათიდან.

იჩქარეთ, შეიძინეთ ლატარიის ბილეთი, იქნებ შეგხვდეთ იღბლიანი ბილეთი.

დირექცია.

---

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

იმ მრავალშვილიან დედებს, რომლებიც აღრიცხული არიან ჩვენს ორგანიზაციაში (ხუთი და მეტი არასრულწლოვანშვილიანი დედები) ვაცნობებთ, რომ მათთვის გაიხსნა ორი სპეცმაღაზია.

ქალაქში მცხოვრებთათვის მაღაზია „საბედნიერო“, ხოლო სოფლებში: კახათი, შამგონა, ახალაბასთუმანი, ინგირი, ჭითაწყარი, ცაიში, ახალკახათი მცხოვრებთათვის გაიხსნა სპეცმაღაზია ონარიის მეურნეობის ტერიტორიაზე. სხვა დანარჩენ სოფლებში მცხოვრებთათვის უნდა გაიხსნას სპეც-სექციები: ზედაეწერის, ნარაზენის, დარჩელის, და ყულიშკარის მომხმარებელთა საზოგადოების სავაჭრო ორგანიზაციებში და რაც რაოდენობაც შეიძენდება.

ზემოთ აღნიშნული კატეგორიის დედებს ვთხოვთ მობრძანდნენ სდს ზუგდიდის რეგიონალურ ორგანიზაციაში, ცოტნე დადიანის ქ. №21 და წარმოადგინონ ერთი ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4 სპეციალური მოწმობისათვის, რომლითაც მაღაზიები მათ არ მიყიდიან დეფიციტურ იმპორტულ საქონელს (პარალელურად მიაკითხეთ ზემოთ ნაჩვენებ მაღაზიებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ საქონელი) და ერთი ცალი ფოტოსურათი (სასურველია ფერადი) ზომით 9X12 საპატიო სტენდისათვის, რომელიც გამოფენილი იქნება ორგანიზაციის ფოიეში.

სდს სამეგრელოს სადროშოს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა.

---

# ი. ა. დარასელია-გობეჩია

რაიონის სახელოვან მეჩაიეთა რიგებს გამოაკლდა, შრომის ვეტერანი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, სახალხო მეურნეობის გამოფენის არაერთგზის მონაწილე ეთერ (თამარა) აბრამის ასული დარასელია-გობეჩია.

იგი დაიბადა 1908 წელს კოლხიდაში. ადრე ახალგაზრდობიდან ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ერთის კოლმეურნეობის №1 ბრიგადის აქტიურ წევრს, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატს, უშურველად გადაუცია თავისი გამოცდილება ახალგაზრდებ... თვის, იყო მათი ... ლი, შრომის ენთუზიას... სანიმუშო დედა და მეუღლ...

სოფელი პატივს მიაგებს ... რისი თაობის ღირსეულ წ... მადგენელს. დიდხანს შემორ... ხსოვნას შესანიშნავი ადამ... ნათელი ხსოვნა.

სოფელ ურთის კოლმე... ნეობის გამგეობა.

რედაქტორის მოადგ... ზ. ცხონდი...

---

მეუღლე ვალიჩქა; დედა ძაბული. შვილები: ციალა, მაია, თისიკო, გივი, ... მერაბი, შვილიშვილები: დალი, ... , ზვიადი, ნანა, მაია, თარაში, ხათუნა, თემური, ვახტანგი, ვიკა, ედიკი, შვილთაშვილები: რევაზი, ლაშა, სიძეები: ჟორჟი ჩახაია, ვაჟა ტურავა, რადიკი ქირია, რევაზი საჯაია, ჯელა ტაბილუა, კახა ოფუჯავა, დეიდა ნაზია აგირბაია, მამიდა რაისა სერგია, ბიცოლა ვენერა, რძლები: მარინა, ლარისა, ბიძაშვილები: ილიკო, კაკო, ვიდიშა სილოგავები, ჟორა, ნათელა, ქრავაშა კიზურები. ცოლისძმები: ალიოშა, საშა კოზუები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**კოლია კოწიას ძე სილოგავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 ოქტომბერს, დაკრძალვა 20 ოქტომბერს სოფელ კახათში.

მეუღლე ცაცა, შვილები: გივი, თალიკო, ომეხი, ლიანა, ბორისი, გული, მარინა ქვარცხავები, ძმა ლავრენტი და ოლია, რძლები: ნათელა, მარგო, ლოზანა, ეთერი, მზია, სიძეები: ნაპო წურწუმია, დათიკო როგავა, ავთო შულაია, გიორგი გიორგაძე. ცოლისდები: დუდა, თამარა, ლენა, ნათელა ლაშხიები, ცოლისძმა ... იშიკო ლაშხია, დისშვილი თინა რეკვავა, ძმისშვილები: თინა, რეზო, მზია, ლიონთა ქვარცხავები, შვილიშვილები, მამიდაშვილები და ბიძაშვილები იუწყებიან

**აკაკი იოსების ძე ქვარცხავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 ოქტომბერს. დაკრძალვა 20 ოქტომბერს სოფელ ცაიშში.

მეუღლე ნათელა, შვილები: ... რი, ლუიზა, როზა, ზვიად ... ჩიები, დები რაისა კ... ნათელა ჭაავა, შვილიშვ... ლევანი, ლექსო გეთიები, ... კა ღვინჯილია, ძმისშვილ... ზვიადი, მურთაზი, დარეჯ... სიძეები: ჯემალ გეთია, ... ღვინჯილია, შუქრი ნარ... რძლები: ლამარა, ეთერი, ... ზერიხაბი, ნაზო. ბიცოლა ... ბიძაშვილები ძაბული. ... ოპო, ცოლისძმისშვილი ... გოლუბევი, მზახლები ... გეთია, ამირანი, ლილი ... ლები, ახლო ნათესავები ... ყებიან **გივი იასონის ძე გუგუ...**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 ოქტომბერს. დაკრძალ... 23 ოქტომბერს ს. კახათში 5 ... ათზე.

შვილი მერი თოდუა. და ... ლავითაია, ძმისშვილები: ... ნოდარი, გურამი, ელდარი, ... მარა, ეთერი, ინეზა, ზაირა, ... ლია, რძლები ვალია, ნუცა ... ფინიები. დისშვილები: გულ... მერი ხუბუტიები, ვახტანგი ... თაია, ჯუმბერი, ცეცი თოდ... მაზლიშვილები: რეზო, ვა... თამარა თოდუები, მულ... ლები: ეთერი, გუ... ყორშიები, კაპიტონ ჯანჯღ... ვალიკო ახალაია, დეიდაშვილ... ბიძაშვილები იუწყებიან

**მარგო (დალული) ქუთას ასუ... ხუფენიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19 ოქტომბერს. დაკრძალვა ... ოქტომბერს სოფელ განმუხ...

ლილი და ამირან ღვინჯილ... ოჯახით იუწყებიან მზახ... **გივი იასონის ძე გუგუ...** ...რდაცვალებას.

И Н Д Е К С 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-21-... რედაქტორის მოადგილე — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის ... განყოფილება ...78 მშრომელთა წერილების 2-... რადიორედაქციის 2-47-0...

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000 შეკ. №4555